ტფილისი

სახალხო გაზეთი

№ 955 კვირა, 28 ივლისი 1913 № 955

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მ. 75 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

ქ. შ. წ.-კ გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დღეს, 28 ივლისს, დიდუბის საყდარში, გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი წ.-კ. საზოგადოების დამფუძნებელი წევრის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორის

ალექსანდრე სოლომონის ძის
ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. 1407

ნინო გიორგის ასული ყავრიშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას 27 ივლისს საყვარელ და დაუვიწყარ შვილისა და დისას

თამარისას.

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე სადამოს შვიდ საათზედ, მეჯლიმის ქუჩა № 23. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 512

ახალი კლუბი
(საზაფხულო სადგომი)
კვირას, 28 ივლისს,

საყმაწვილო საღამო

სხვა და სხვა გასართობები, საყმაწვილო წარმოდგენა **სეირნობა და ცეკვა.** სად. 5 საათიდან სადამ. 9 საათამდე. სტუმრების ყმაწვილები იხდიან კლუბში შესასვლელს 15 კ. 1402

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

28 ივლისს, 1913 წ. გაიმართება

ორი დიდი წარმოდგენა.

დილით ფასები დაწეული იქნება. უფასო სეირნობა ჯორებითა და ცხენებით. სადამოს არა ჩვეულებრივი წარმოდგენა. 5 ახალი გამოსვლა. მონაწილეობას იღებენ: გამოჩენილი ჰაერის მეფენი **4 ეშმაკი,** ცნობილი **მასხარა რობერტსი** მოლაპარაკე ძაღლითა და ჯორით. აღმოსავლეთის ცეკვათა და პლასტიკის ცოცხალი გველებით შემსრულებელი დები **ხაფთ.** ტფილისელთა საყვარელი მასხარები და მოშაირენი **ძმ. ვინჩენცოები.** მოვარჯიშე მეზღვაური ჯამბაზები **ელა** და **კარპი.** მოჯირითე ქალი **თამარა** და სხვ.

დასაწყისი სადამოს 8 ნახევ საათზე.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 511. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2--3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1,
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

დაიბეჭდა და იყიდება წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

„ძველი საქართველო“, ტომი II,

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ე. ს. თაყაიშვილის რედაქტორობით. ფასი 4 მან.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრებს, რომლებსაც 1911 წლის საწევრო გადასახადი შემოტანილი აქვთ, ეს წიგნი უსასყიდლოდ დაეთმობათ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ ფოსტით დაეგზავნებათ. 1409

ტფილისის ქართული გიმნაზიის
დირექტორი

აცხადებს, რომ თანახმად გამგე-კომიტეტის დადგენილებისა, ამ წლის 1 ენკენისთვიდან ვაჟთა გიმნაზიაში და ქალთა სასწავლებელში სწავლის ფასად დაწესდა **მოსამზადებელს** კლასებში **ოთხი** თუმანი წლიურად, ნაცვლად სამის თუმნისა, და **საგიმნაზიო** კლასებში **ხუთი** თუმანი წლიურად, ნაცვლად ოთხის თუმნისა. მომავალის 1914 წ. 1 ენკენისთვიდან კი მე-V, მე-VI, მე-VII, მე-VIII კლასებში დაწესდება წლიურ გადასახადად **ექვსი** თუმანი. 1397.

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან სადამოს 5 ს.-დე.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—1½ ს.

ა. ხუდაბაშევი. ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—3 ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

თაყაიშვილ. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ, 11—12 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ლიმონი. კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

ხაიდაროვი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტანტი. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

პონდოევი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1035

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

ექიმი
კბილისა და ღრძილებისა
ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან სადამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი კბილისა არჩილ დოლიძე

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს **აბასთუმანში.**

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს **აბასთუმანში.** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) მლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., სად. 5—7 ს. მისამართი: აბასთუმანი ტერ-მარქაროვია აგარაკი. 1071

ექიმი ვ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „დენი“ განცვიფრებაში მოუყვანია ერთს გარემოებას: მოსკოვში ლითონების ქარხნების პატრონების კრება იყო, რომელზედაც გამოირკვა, რომ ქარხნების საქმე მშვენივრად ყოფილა, აუარებელი შენაკვეთი მოსდიოდათ და სწორედ ამიტომ შესაძლოა გაფიცვის მოძრაობის გაძლიერებაო. მიუხედავად ამისა ქარხნის პატრონებმა მუშების მოთხოვნილებათა უმეტესი ნაწილის დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნეს.

„ჩვენთვის გასაგებია“ ამბობს გაზეთი, „დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, როდესაც კაცი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავდება, როდესაც საქმეები ცუდად მიდის და გაფიცვა არც ისე საზარალოა. მაგრამ, როდესაც ყველა პირობა სწორედ ამის საწინააღმდეგოდ ლაგდება, მაშინ ისეთი ჯიუტობა, რომელსაც მოსკოველი მექარხნეები იჩენენ, ალბად ნაკარნახევია ისეთ მოსაზრებით, რომელსაც ეკონომიურ ინტერესებთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს... მაშინ ჩვენს წინაშე „პოლიტიკაა“, რომლის შედეგიც საშინელს გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაზე“.

რუსის „კუპცების“ შესახებ გაზეთი მეტად დიდი აზრისა ყოფილა, თუ ჰგონია, რომ მათ პოლიტიკოსობის უნარიც აქვთ. ეს ჯიუტობა აიხსნება პირდაპირ გაუგებრობით. „არ დაგაკმაყოფილებ!“ აი, მთელი ფსიხოლოგია ვაჭარ-მრეწველთა „პოლიტიკოსობისა.“

⁂

სამხედრო გემების მეზღვაურთა გასამართლების გამო თავად მეშჩერსკის მოჰყავს ბევრი დაწვრილებითი ცნობა, რომლითაც ნათელია რომ ეს საქმე თავიდან ბოლომდე პროვოკაციის ნაყოფია. თავ. მეშჩერსკი „გრაჟდანინის“ უკანასკნელ ნომერში მცირე შენიშვნაში ამბობს.

„ცხადია, რომ ასეთი ლოღიკის დროს მოსალოდნელია რუსეთის მთელი 150 მილიონიან მცხოვრებთა დაპატიმრება, თუმცა ნაადრევად, მაგრამ მომავალ საბუთების მოლოდინში“.

ეჭვი არ არის, ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ საქმე ისაა, თუ ვინ უნდა დააპატიმროს ეს 150 მილ. მცხოვრები? რუსეთში ხომ ერთი კაციც არ არის ისეთი (ჯაშუშებიც კი), რომ მას თვალს არ ადევნებდნენ?

ახალი ამბავი
ტფილისი

✦ **საქალაქო სესხი.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, ნება დართონ მას, აიღოს 400,000 მან. სესხი ავჭალის წყალსადენის გასაფართოვებლადა და გასაუმჯობესებლად.

✦ **ტფ. კლუბებში** 1912 წელს ლოტოში მოუგიათ 800,000 მან.

✦ **ვერის პარკის** შესაერთებლად სატეხნიკო ქუჩასთან (მუშტაიდისკენ) მომავალ წელს მტკვარზე ჯაჭვის ხიდს დაჰკიდებენ. ქალაქის გამგეობამ ამ საქმისთვის ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში 15,000 მან. შეიტანა.

✦ **ავლაბრის კლუბმა** საზამთრო შენობისთვის კახეთის ქუჩაზე გასან ჯალალოვისგან 55,000 მან. სახლი შეიძინა მიწით. სახლის გადასაკეთებლად კლუბმა 10,4000 მან. გადასდო.

✦ **ახალი გაზეთი.** გუბერნატორმა ვ. ს. ხარებოვს ნება დართო, გამოსცეს ტფილისში ყოველდღიური რუსული გაზეთი: „ტიფლისკაია ნაროდნაია კოპეიკა“ (ტფილისის სახალხო კაპეიკი).

✦ 1-ლ აგვისტოს სვეტისცხოვლის, ათ-თორმეტთა მოციქულთა ტაძარში ს. მცხეთაში **მწირველად იქნება გორის ეპისკოპოსი ანტონი,** ადგილობრივი სამღვდელოებისა, ზედაზნის წინამძღვრის იოანეს და არმაზის მონასტრის მღვდელ-მონოზონის ილარიონის თანამწირველობით. წირვის შემდეგ მოხდება ლიტანია გავლენ არაგვს და წყალს აკურთხებენ. იგალობებს ადგილობრივი გუნდი.

✦ ამ მოკლე ხანში ჟურნალისტი **კოკი აბაშიძე** წაიკითხავს რამდენიმე ქართულ ლექციას შემდეგ თემაზე: „არჩილ ჯორჯაძე, როგორც სიცოცხლის აზრის მაძიებელი“ (ლექცია შესდგება ორი ნაწილისაგან) „ალ. შანშიაშვილის პოეზია“ (ლექცია-ესკიზი) და „იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება“ (ლექცია ესკიზი), პირველი ლექცია ბ. აბაშიძემ წაიკითხა რეფერატის სახით ქ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში და ქ. კავკავში.

✦ **„ზაკავკაზსკაია რეჩის კონფისკაცია** 26 ივლისს, სადამოს, ტფ. საცენზურო კომიტეტის განკარგულების თანახმად პოლიცია მივიდა კერესელიძის სტამბაში, სადაც რუსული გაზეთი „ზაკავკაზსკაია რეჩ“ იბეჭდება და გაზეთის ახლად დაბეჭდილი ნომრები (№169) წაიღო. პოლიციამ გაზეთები ჩამოართვა აგრეთვე ქუჩაში გაზეთის გამყიდველებს და რკინის გზის სადგურზე. ამის გამო გუშინ ტფილისში გაზეთის ნომერი აღარ იყო. კონფისკაციის მიზეზი იყო მეთაური წერილი, რომელიც შეეხებოდა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციის მოქმედებას.

✦ **ფრენა.** დღეს, სადამოს 5 საათზე, დიდუბეში სადოღო მოედნის გვერდით დანიშნულია **ფრენა ავიატორის ბესარ. ქებურიასი,** საკუთარი სისტემის ჰაეროპლანზე.

✦ **მეფის მოადგილის საბჭომ** დაამტკიცა მომავალ წლის ხარჯების აღრიცხვა კავკასიის გზათა ოლქისა (4.814,780 მან.) და კავკასიის საბეითალო ნაწილის სამმართველოსი (636,400 მან.).

✦ **პენსიები.** უწმ. სინოდმა პენსიები დაუნიშნა: 1) ქილურტ-ებნისის მღვდლის ქვრივს ს. თათარაშვილს 200 მან. (42 წლის სამსახურისთვის), 2) ცუხმორის ეკლესიის მღვდლის ქვრივს ე. მაისურაძეს 100 მან. (22 წლის სამსახურისთვის), 3) ნაკურალეთის ეკლესიის მედავითნის ქვრივს თ. გელერთიანს—83 მ. 33 კ. (37 წლის სამსახურისთვის) და 4) ქუთაისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიის დეკანოზის ქვრივს ე. კიკაჩეიშვილს—200 მ. (54 წლის სამსახურისთვის).

✦ **შიოევიჩეული სახლის კედლის ჩამონგრევის დროს დაშავებული ქართველი მსახიობი ვიქტორ მატარაძე** საავადმყოფოდან უკვე გამოეწერა. მსახიობი საავადმყოფოში სამს კვირას იწვა და ახალა თავს ირჩენს სახლში. სწამლობს ექიმი მანსვეტაშვილი. მას ახალაც სტკივა მარცხენა მკლავი და ფეხი და ვერა ხმარობს. ნერვებიც აშლილი აქვს. წელს იგი დრამატიულ დასში მუშაობას ვერ შესძლებს.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას შეუმუშავებია** გეგმა რადით დეპეშათა გადამცემ და მიმღებ სადგურების გამრავლებისა 1914 წლისათვის. სხვათა შორის ასეთი სადგური ფოთშიაც დაარსდება.

✦ **პურისა და ხორცის ნიხრის** გადასათვალიერებლად 25 ივლისს კრება ჰქონდა ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას. კომისიამ შეუძლებლად სცნო ახლანდელ ნიხრის შეცვლა, რადგანაც საკლავ საქონლისა და ფქვილის ფასების შესახებ დანამდვილებით ცნობები ხელთ არა ჰქონდა.

✦ **საბირჟო ცნობები.** 26 ივლისს, ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—85 მან., 25 კ., აძლევდნენ—84 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან. 25 კ., აძლევდნენ—82 მან. 30 კ. დ ქუთაისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—81 მან., აძლევდნენ—79 მან. 75 კ. სახელმწიფო მოგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—482 მან., მეორისა—352 მან. და მესამისა—315 მან.

სასწავლებლებში

✦ **ახალი სასწავლებლები.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობის თანახმად, სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო მომავალ შემოდგომიდან ხაზინის ხარჯით სამი უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი

დაარსდეს: ბაქოსა, ქუთაისსა და ონში. პირველ ორის სასწავლებლის ყოველ-წლიური ხარჯი ნავარაუდევია 7,190 მან., მესამისა—1,890 მან.

სომხეთა ცხოვრება

◆ ეპისკოპოსი **გაბრიელ ჯივარჯიანი არჩეულია** სტამბოლის პატრიაქის თანამდებობის აღმასრულებლად.

გორი.

◆ ორშაბათს, 29 ივლისს, აქ მართავს კონცერტს ახალგაზდა მომღერალი **გ. ღვინიაშვილი.** კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ვიოლონჩელის დამკვრელი ე. კოპელნიცკი.

ბორჯომი

◆ **ქ. შ. წ. კ.** გამავრცელებელ საზოგადოების **ბორჯომის განყოფილება** 4 აგვისტოს ადგილობრივ „პარკში“ **სეირნობას ჰმართავს.** ამასთანავე „კურზალში“ გაჰმართავს ქართულ კონცერტს, რისთვისაც ტფილისიდან სეგანგებოდ მოიწვია ბ-ნ მ. კავსაძის ქართველ მომღერალთა გუნდი.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ონი. განსვენებულ პროფ. ალ. ხახანაშვილის გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. გაიმართება მისი ხსოვნის სალიტერატურო საღამოც.

დღიური

დუმილი, დუმილი

პროტესტის ნაცვლად!

დიდის მწუხარებით, მწარე ნაღვლით აღნიშნავს ჩვენი ახლანდელი ცხოვრების მომავალი მიმომხილველი იმ მოვლენას, რომ ილია ჭავჭავაძის პიროვნებამ, რომლის სიდიადე ყოველს ეჭვს გარეშეა, აღძრა ჩვენში ამდენი შეუფერებელი, პირდაპირ ცხოველური გრძნობა, და მისმა ტრაგიულმა სიკვდილმა ნაცვლად გამოფხიზლებისა, მხილებისა, განწმენდისა უფრო აღავსო ჩვენი გული სიძულვილით, მტრობით, უპატივცემლობით; ჩვენი სული მეტის უკულტურობით შეიმოსა და ჩვენს გონებას ჯანყი, ბურუსი გადაეფარა.

ცოცხალი ილია შევიძულეთ ისე, როგორც არ შეგვიძულებია არც ერთი მტერი; ისე მოვეპყარით, როგორც არ მოვეპყრობივართ არც ერთს აბუჩად აგდებულს და მაჩანჩალა მწერალსა და მოღვაწეს; ისე უარვყავით და დავგმეთ ყოველი მისი ნააზრევი და ნაგრძნობი, როგორც სრულიად გამოუსადეგარი, მავნებელი და დამღუპველი. მოკვდა—არა, მოვკალით ვერაგულად, მხეცურად, მიპარვით, ტვინი გადავუბრუნეთ მის მეუღლეს და იმის მაგიერ, რომ გონს მოვსულიყავით, შეგვზიზღებოდა ჩვენი საქციელი და თავზარდაცემულებს, დადუმებულთ მუხლი მოგვეყარა მის წმინდა საფლავის წინაშე და დუმილით, ცრემლით დაგვეტკბო მისი წამებული გვამი. ჩუმად, განმარტოებით ვტანჯულიყავით და ამით გაგვეფაქიზებინა ჩვენი შელახული სინდისი, ჩვენ ჩვენის უმზგავსო ყვირილით, ჩვენის მოშხამულის სიტყვით, გესლისა გადმონთხევით, ჩვენის ბარბაროსულ თვისებების გამოფენით მოსვენებას არ ვაძლევთ დიდებულის ადამიანის სულს და სიცოცხლე - ჩამწარებულს ვაშფოთებთ, ვამწარებთ საუკუნო განსასვენებელ ადგილსაც კი!

უკუვაგდოთ წუთიერად მაინც ყოველი პარტიობა, დანაწილება, ჯგუფობა და საღის ადამიანურის თვალით შევხედოთ მომხდარს საშინელს ამბავს და ჩვენს თავსაც. ნათლად, სავსებით, პირდაპირ დავინახოთ ის უფსკრული, რომელიც გათხარა ჩვენს ცხოვრებაში ილია ჭავჭავაძის მოკვლამ. შევიგნოთ მთელის ჩვენის არსებით სიმწარე შესანიშნავი მამულიშვილის, პოეტის, მოაზრეს გულის განგმირვისა და შუბლის გაჩეხვისა. განვიცადოთ სრული ვაება იმ ეროვნული ტრაგედიისა, რომლის შინაარსია ილიას მოწამებრივი სიკვდილი. ილია ხომ ქვა არ იყო; ილია ხომ პაწია უგულო და უსულო არსება არ იყო; ილია ხომ უმნიშვნელო წარმავალი მომაკვდავი არ იყო; ილია ხომ ისტორიის გარეშე არ იდგა? ილია ხომ ჩვენი არ იყო, ჩვენი, დღევანდელების საკუთრება, მარტო ჩვენი თანამედროვე? იგი ხომ ჩვენი ერის მრავალ ათასის კულტურულ ცხოვრების შვილია, იგი ხომ ჩვენის მომავლის განახლების, არსებობის შემომქმედი მამაა, ჩვენ ტანჯულ აწმყოს მოჭირნახულე, მეტვირთე, მოსაგრე; მისი ცხოვრება, შრომა, აზრი და გრძნობა ხომ გადაქსოვილია ქართველი ერის ბედთან და შეუძლებელია ხსენება ქართველ ერისა და მისი ისტორიისა, თუ არ ვახსენეთ ილია ჭავჭავაძის სახელი!

ჩვენ მოვკალით ასეთი ბრწყინვალე, ბუმბერაზი ადამიანი, მოვკალით მხეცურად და ამით იმგვარი კვალი დავაჩნიეთ ჩვენს ეროვნულ ისტორიას, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ წაშლის, კვალი ყოვლად სამარცხვინო, საზიზღარი, გულსაკლავი. გაგვითვალისწინებია, რამდენს სიმწვავეს განიცდიან მომავალი თაობანი ამ ამბის მოსმენისა დ წაკითხვის დროს, რამდენი ნაღველია ჩამარხული მომავლისათვის ილიას მკვლელობაში? სისხლის ცრემლებს დაღვრიან ჩვენი მემკვიდრენი ტვინგადმონთხეულის მამის საფლავზე და არა ერთნი და ორნი, არა ერთხელ და ორჯერ! ჩვენს ისედაც გამწარებულს, სიავით სავსე ყოფას ზედ დავურთეთ საკუთარის ხელით ისეთი სიმწარე, რომელიც მწვავეა სხვა ყველა ჭირსა და განსაცდელზე! ეს მარად მოსაგონებელი და სატირალი იქნება ქართველი ერისათვის! ეს უკვდავებაა ჩვენი, უკვდავება სირცხვილისა, უკიდურეს დაცემისა, უსაშინლეს გულქვაობისა!

რას უნდა ვგრძნობდეთ ამ უბედურების წინაშე, რას უნდა ვამბობდეთ, რას ვწერდეთ? განა შეიძლება ხმის ამოღება, რისამე დაწერა, როდესაც ერი ჰკარგავს ილიასებურ შესანიშნავს შვილს, ჰკარგავს საკუთარის ვერაგობით, ძალმომრეობით, როდესაც ერის უკულტურობა შეიწირავს ასეთს ძვირფას მსხვერპლს?

ჩვენ რომ ოდნავად შეგვეგნო სიძლიერე მომხდარ ტრაგედიისა, ჩვენი სინდისი რომ მთლად მიძინებული არ ყოფილიყო, გრძნობა მკვდარი, მიჩლუნგებული, მაშინ ჩვენს ენას რაიმე აატოკებდა, სამარისებური დუმილი არ გადაეკვროდა ჩვენს სახეს, დუმილი სიმწარისა, ვაებისა, სინანულისა? მაგრამ ჩვენ ვყვირით—თითქოს ყვირილით გვინდოდეს თავის გამართლება! ვამრავლებთ სიძულვილს და მტრობას—თითქოს ამით გვინდოდეს მომავალთა სიძულვილის ამოფხვრა! ვეძებთ გარეშე, სადღაც უხილავს ადგილას მკვლელებს—თითქოს ჩვენ თვითონ არ ვიყოთ პოეტის სულის ამომხდელნი და მისი სისხლით შეღებილნი!

კმარა ამგვარი სიბრმავე, ძალად თვალის ახვევა, თავისა და სხვის მოტყუილება! მთლად ნუ წარგვიხოცავს სირცხვილი! მთლად ნუ დაბნელებულა ჩვენი გონება და ნუ დავშორებივართ დღის სინათლეს! ყველანი ვართ დამნაშავენი, მთელი ერია ილია ჭავჭავაძის მკვლელი, მისი უმანკო სისხლი ყველას კისერზეა. ვსთქვათ გაბედულად, შეგნებულად, გულმართლად, ახდილად, რომ გადავცდით ბრმები, უგუნურები საზღვარს და ბინძური, მომაკვდინებელი ხელი აღვმართეთ ერის სიამაყს და დიდების წინაამდეგ! ამის თქმა და აღიარება უპირველესი მოვალეობაა ჩვენი გარდაცვალებულის წინაშე, და არ თქმა კიდევ უარესი, უმეტესი დანაშაული! დანაშაულის შემგნებნი ნახევრად მაინც აქარწყლებს დანაშაულს და ჩვენ ნუ ვცდილობთ ჩვენი დანაშაულის კიდევ უფრო გაღრმავებას და გაძლიერებას.

ამაოდ ნუ სცდილობენ ახლანდელი „პროტესტანტებიც“ ვიღაცის გამართლებას. ცუდს სამსახურს უწევიან თავისთავისა და სხვისთვისაც. თუ ყველას გვაქვს ბრალი ილიას სისხლისა და ტვინის დანთხევაში, ყველაზე მეტად იმ წრეს, რომელმაც ძალზე მოწამლა ჰაერი ილიას პიროვნების გარშემო და ამით შესაძლებელი გახადა მკვლელობის ჩადენა. ნუ გავიწყდებათ, ბ-ნო პროტესტანტებო, რომ ზოგიერთმა თქვენმა მოაზრემ, მაგ. სტუდენტებმა, შეუძლებლად დაინახეს მწუხარების გამოთქმა პოეტის მოკვლის გამო!.. რას მოწმობენ ეს და ამის მსგავსი სხვა ამბავი? როგორი იყო ატმოსფერა მაშინ ილიას გარშემო და იგი რამ წარმოშვა?..

უფრო კეთილშობილური იქნებოდა თქვენი საქციელი და უფრო სწორს გზაზე იქნებოდით დამდგარნი, თუ პროტესტების წერას და ზიზღების გამოცხადების მაგიერ, დადუმდებოდით და დუმილში შეიგნებდეთ ერის საერთო მძიმე დანაშაულს!..

სიტყვა.

მუშათა ცხოვრება

ბაქო.

◆ დაიწყეს მუშაობა ზუბალაშვილის ქარხნისა და ბალახანის საზოგადოების ქარხნების მუშებმა.

◆ წარუდგინეს ეკონომიური მოთხოვნილება 4.000 კაცზე მეტმა მანთაშევისა, რილსკისა, ტუმაევისა და სურახანა-კურინსკის ნავთის მრეწველთა საზოგადოების ქარხნების მუშებმა.

◆ „ა. ი. მანთაშევის და ამხ.“ ნავთის სამრეწველოს მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას. პასუხისათვის 3 დღის ვადა მისცეს.

◆ 13 ივლისს, „ძმ. მირზოევებისა და ამხ.“ სამრეწველოს მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციასა და პასუხისათვის 4 დღის ვადა მისცეს. ჯერ-ჯერობით არ უპასუხნიათ. ადმინისტრაცია მოთხოვნილების განხილვაშია, ხვალ გადის პასუხის ვადა.

◆ „ი. ნ. ტერ-აკოფოვის და ამხ.“ სამრეწველოს მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას, მაგრამ ისევ უკან წაიღეს რამდენიმე მუხლის შესატანად.

◆ „მელიქოვისა და მახმუროვის“ სამრეწველოს მუშებმა წარუდგინეს ადმინისტრაციას მოთხოვნილება. და საპასუხოდ 3 დღის ვადა მისცეს. მუშათა ერთმა ნაწილმა პირდაპირ გაფიცვა გამოაცხადა.

◆ 22 ივლისს სვეშნიკოვის სამრეწველოს მუშებმა, ბალახანში, წარუდგინეს ადმინისტრაციას მოთხოვნილება. სამრეწველოში მოსულმა მოურავმა ქინჯუნცევმა არ მოისურვა მუშებთან მოლაპარაკება და სამუშაოდ ლეკები მოიწვია.

◆ 6000 მეტი მუშა გაფიცა ქარხნებში. კიდევ შესწყვიტა მუშაობა 600 კაცმა.

პეტერბურგი.

◆ 22 ივლისს აგარაოზერკაში საგარაკოდ წასულნი უმზარეულოდ დარჩნენ.

მზარეული ქალები შეკრებილან, უბაასნიათ თავის მდგომარეობაზე, შემდეგ გაფიცვა გამოუცხადებიათ და ქალაქში წასულან.

◆ პეტხელდის სახელობის საქალაქო სავადმყოფოს მაშენებელმა მუშებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას და შემდეგ გაფიცვა გამოაცხადეს.

◆ ახალ ლესნერის ქარხანაში გაფიცვა გრძელდება 92 დღე. 22 ივლისს გაფიცული მუშები შეიკრიბნენ და გაფიცვის გაგრძელება გადასწყვიტეს. გაფიცვის დროს სულ 9.034 მან. დახმარებიან მუშებს.

◆ 22 ივლისს ბარანოვსკის მილების ქარხნის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა მუშებს შესწყვიტონ გაფიცვა და აამუშავონ ქარხანა. არც ერთი მუშა არ გამოცხადდა სამუშაოდ. კრებაზე მუშებმა დაადგინეს გაფიცვის გაგრძელება.

◆ ბალტიის ქარხნის გაფიცულმა მუშებმა კრება გაჰმართეს და განიხილეს ადმინისტრაციის განცხადება, რომ ქარხანისათვის საჭიროა ზეინკლები. მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება. გაფიცვა 32 დღე გრძელდება ქარხანაში.

◆ გაფიცნენ სურათის ჩარჩოების მკეთებელი გოფმანის ქარხნის მუშები 150 კაცი. მოითხოვეს ქირის მომატება.

მოსკოვი.

◆ კვირას, 21 ივლისს, დოკუჩაევის მისახვევში პოლიციამ ალყა შემოარტყა ვინოგრადოვის სახლს. შემდეგ პოლიცია შევიდა ამავე სახლში, მუშათა კავშირის „თანხმობის“ მდივნის ბინაზე. დააპატიმრა იქ მყოფი 57 კაცი. კავშირის ყველა საქმე წაიღო პოლიციამ განსახილველად. ოფიციალი ცნობით, აქ უნდა მომხდარიყო კავშირის წევრთა საგანგებო კრება, რომლისათვისაც ნებართვა არ ჰქონიათ. დაჭერილნი ირწმუნებიან, არავითარი კრება არ ყოფილაო, მხოლოდ ამდენი კაცის შეკრება უბრალო შემთხვევით აიხსნებაო.

◆ გაიფიცა „სიუ და ამხ.“ საპარფიუმერიო ქარხნის 3000 მუშა, მომეტებულ ნაწილად ქალები. წარუდგინეს მოთხოვნილებანი ადმინისტრაციას, რომ წელიწადში 10 დღის თავისუფლება მიეცეთ, 10 წუთით დაგვიანებისათვის ჯარიმები მოისპოს, გაფიცვაში მონაწილეობისათვის არავინ დაითხოვონ და სხ. ადმინისტრაციამ უარით უპასუხა.

◆ რიაბოვის მანუფაქტურის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. გაფიცულთა რიცხვი 1000 კაცს უდრის. მოთხოვნილება 16 ივლისს წარუდგინეს, მაგრამ იგი ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა და მუშებიც გაიფიცნენ.

◆ ძმ. გამპერტის მექანიკურ ქარხნის მუშები 27 დღე გაფიცულია. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციამ სამუშაოდ ახალი მუშების მოწვევა განიზრახა, არავინ მოისურვა მუშაობა.

◆ გაკენტალის მექანიკურ ქარხნის გაფიცულ მუშათა ჯგუფი, მუშაობას შეუდგა. გაფიცულთა უმრავლესობა სოფლადაა წასული.

◆ ალექსეევის, ფლეტჩერის, მიხაილოვის, ვიბერის, გაბძინის და ბუტიკოვის სამანუფაქტურო ქარხნების 600 მუშის გაფიცვა გრძელდება.

ლოძი.

◆ როზენბლატის ბამბის მანუფაქტურის ქარხნის 2,600 მუშამ ძველი პირობებით განაახლა მუშაობა.

მცირე შენიშვნა

ბ-ნ ფირცხალაიშვილს და კომპ.

„თანამედროვე ქვეყანის“ № 17 მოთავსებულია წერილი ბ. ა. ფირცხალაიშვილისა: „ბ-ნ შ-ნაურის წერილის გამო“, რომელშიაც ბ. ფირცხალაიშვილი ეხება კიევის ქართველ სტუდენტების ერთ ჯგუფსა და სხვათა შორის ამბობს: „ბ-ნი რაჭველი სხვებს იცავდა და ეხლა გამოჩნდა, რომ თვით მას მიუღია მონაწილეობა მემარჯვენე რექტორის ქართულ საღამოზე მოწვევაში“ შემდეგ კი ბ. ფირცხალაიშვილი აღნიშნავს, ვითომც ზემოხსენებულ ჯგუფს სირცხვილი მიეყენებინოს კიევის ქართველ სტუდენტობისათვის. როგორც ქ. კიევში 16 თებერვალს გამართულ ქართულ საღამოს საქმეებთან და საერთოდ კიევის ქართველ სტუდენტობის ცხოვრებასთან ახლო მდგომი, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გადაჭრით განვაცხადო, რომ ბ. რაჭველს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ქართულ საღამოზე რექტორის მოწვევაში. საერთოდ ბ. რაჭველს მინდობილი ჰქონდა, მოეწვია მხოლოდ გაზ. „რადა“-სი და „კიევსკაია მისლის“ რედაქციები და რამოდენიმე სათვისტომოს გამგეობანი. მეტი მონაწილეობა სტუმართა მოწვევაში მას არ მიუღია და საიდანა და როგორ „გამოჩნდა“ ის, რაც არ არსებულა, არ მომხდარა? სჩანს, ბ. ფირცხალაიშვილი ან შეცდომაშია შეყვანილი, როგორც ერთი მისი ამხანაგი იყო, და ან განზრახ ჰკადრულობს ცილისწამებას. ბ. ფირცხალაიშვილმა კარგად იცის, რომ დღეს დღეობით ბ. რაჭველი მოკლებულია შეძლებას, პირადად გასცეს პასუხი ასეთ უმართებულო და დაუმტკიცებელ „ბრალდებისა“, და რად კადრულობს ბ-ნი ფირცხალაიშვილი ასეთი შინაარსის წერილის ბეჭვდას ან ცილისწამებასა.

რაც შეეხება გარემოებას, ვითომც იმ ჯგუფს, რომელიც მხედველობაში ჰყავს ბ. ფირცხალაიშვილს, და კიევის ქართველს სტუდენტობისათვის სირცხვილის მიყენებას, უნდა ვსთქვა, რომ ამ ჯგუფს არავითარი შემარცხვენი საქციელი არ ჩაუდენია და ვერც ერთი კიეველი მიუკერძებელი სტუდენტი, გარდა ერთი ჯგუფისა, ვერ უმოწმებს ბ. ფირცხალაიშვილს, მხოლოდ ჯგუფის ზოგიერთი მოწინააღმდეგე, როგორც ბ. ფირცხალაიშვილი, ხმარობს ესოდენ ქუჩურ იარაღს—ცილისწამებას.

დ. მაჭავარიანი.

P. S. როგორც ბ. ფირცხალაიშვილსაც ეცოდინება, იმ ჯგუფს, რომელსაც ბ. ფირცხალაიშვილისა და მისი თანამოაზრეების პატივისცემა ვერ დაუმსახურებია, განზრახული აქვთ ზემოხსენებულ „ბრალდებათა“ სინამდვილესთან შედარება და საქმის განხილვა საამხანაგო სასამართლოს მიანდოს. ვიდრე ამხანაგთა მიუდგომელი სინდისი სამართალს არ იქმს,

ტბეთის სვეტი შავშეთში

(ვუძღვნი ჰაიდარ-ბეი აბაშიძეს)

ტბეთის სვეტმა ერთხელ (1028 წელს) იხსნა საქართველო დაღუპვისაგან. ვიდრე მოგითხრობდეთ ამ ამბავს, საჭიროდ ვთვლი ორიოდე სიტყვა ვუძღვნა თვით დიდებულ ტბეთს და მასში მოღვაწე ჩინებულ მამულიშვილებს.

891 წელს გარდაიცვალა გურგენ მამფალი, არტანუჯის კურატპალატი და კალმახის მფლობელი. მისი შვილი იყო სახელგანთქმული **აშოტ კუხი,** ერისთავთ-ერისთავი. აი ამ „აშოტ ერისთავთ-ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან, რომელსა ეწოდა **კუხი,** აღაშენა **ტბეთი,** შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა **პირველად** ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა, და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქორონიკონსა რლჱ (918 წ.)

ტბეთის საყდარი, ვახუშტით, დიდია, შვენიერი, მდიდარი, გუმბათიანი.

სახელოვანმა გიორგი ყაზბეგმა ნახა ტბეთი 1876 წელს, იმ დროს, როდესაც მთელი ეს არე-მარე, მაშასადამე, მთელი ეს ყოფილი აკვანი ქართველთ განათლებისა, მთელი ეს სამშობლო ნინოებისა, ოპიზართა, პარხლის, შატბერდის, არტანუჯის მამებისა, მამფლებისა, სარდლებისა და მოღვაწეთა საზოგადოდ, როდესაც ყოველივე ეს ჯერ ისევ გმინავდა ოსმალეთის სულთნის მფლობელობის ქვეშე; იმ მფლობელობას ქვეშე, რომელმაც გასწყვიტა ამ მწიგნობრობა - განათლებით განთქმულ ქვეყანაში ქართული წიგნის ნასახიც კი, რომელმაც სრულიად ამოაგდო აქ წერა-კითხვის ცოდნა, პირქვე დაამხო მამა-პაპათა მთელი კულტურული ნამუშევარი; არისტოკრატიულს ერს, უკვე უბრალო „რაიად“ ქცეულს, დაუხშო ნაციონალური გრძნობაც კი. აი ამ დროს, ვიმეორებთ, გ. ყაზბეგმა ნახა ტბეთი და მის წინაშე აღმართული მისი სვეტი. იგი სწერს: „ტბეთი შავშეთშია, აქაურ მუდირის ადგილსამყოფელოს ციხის ძირის ახლოს. აწ მეჩითად ხმარობენ. აგებულია ჯვარის სახით. კედლები შიგნიდამ და გარედამ შემოსილია მოწითლო ქვით. ზოგან კედლები დაზიანებულია. საყდრის უმთავრესი შესავალი დანგრეულია. მისი მაღალი კამარა ასვენია მკვიდრ სვეტებზე. სხვა და სხვა ნაწილი მორთულია შვენიერ სამკაულითა, ჩუქურთმითა და მოხატულობით. წმიდათა-წმიდას ზევით მოჩანს დიდებული გამოსახულობა მაცხოვრისა მჯდომარისა საყდარსა ზედა შორის მოციქულებისა, ანგელოზებისა და მთავარანგელოზებისა. სახეები ყველგან შვენიერია, ფერადები ცხოვლად შენახულა. ტბეთი თავის დიდებულობითა და სილამაზით დაამშვენებდა თვით რომსაც კი.“

1892 წელს მთელმა ექსპედიციამ პავლინოვის ხელმძღვანელობით დაიარა მთელი ეს მხარე და ყოველი ნახული ასწერა, დახატა და დაბეჭდა მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების გამოცემაში (1843, გამოც. III). უყურებ ამ გამოცემაში ჩართულ სურათებს, გეგმებს აქაურ მამა-წმინდისას, სვეტისას, ოპიზისას, ბერთისას, დოლისყანისას, ტბეთისას და სხ., მათს დიდებულებას, მათს საკვირველებრივ შვენებას და უნებლიედ გული გევსება ნაღვლით და ნება-უნებლიედ გაიფიქრებ: დადუმებულან სახლნი, საცა გაისმოდა უკვდავი ჰანგები, დადუმებულა კერა, საცა ქართველობა ჰკვერავდა, საუკუნო ძეგლებთან ერთად, თავის ეროვნულს ღვაწლით მდიდარს ისტორიას.

ტბეთის პირველი ეპისკოპოზი ნეტარი სტეფანე ღრმად სწავლული კაცი იყო, ზედმიწევნით მცოდნე საღმთო წერილისა. იგი, ალბად, იყო ბერძნულისა და სხვა ენებიდან ქართულად თარგმნილ წიგნების ცენზორადაც. ამ მხრივ, საგულისხმოა:

„სიტყუაჲ, მიწერილი დაჩისი სტეფანისა ნეტარისა მტბევრელ ებისკოპოსისა მიმართ: „ღირსო მამაო წმიდაო ებისკოპოს სტეფანე, ქრისტეს გამორჩეულო მამფალო! კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩვენდა და მკურნალად სულიერად აღმაშენებლად ჩვენდა. მრავალგზის მინდა ხილვაჲ შენი კურნებისათვის სალმობათა სულისა ჩემისათა არამედ სიშორისაგან და რუდუნებისაგან უცალოვებისა ჩემისა ვერ ღირს ვიქმენ თავყვანისცემად შენდა. ან შენდობა იყავნ ჩემდა ამისთჳს, რომელ წიგნითა მოგიძღუნებ განსაკითხავსა ამას ჩემსა. წმიდაო ღვთისაო, მრავალ ჟამთაგან გულმოდგინედ ვეძიებდი თარგმანებასა ფსალმუნთასა, წიგნსა მას, რომელი დაწერა წმიდამან მამამან ჩვენმან ეპიფანე კჳპრელ ებისკოპოსმან, და არა ვპოვე ქართულად... ხოლო მე მსგავსად ძალისა ჩემისა მცირედნი ესე (თარგმანებანი) ას-ერგასისთა მათგან შენ მოგიძღვანენ; უკუეთუ ჯერ არს განსრულებაჲ, სიწმიდემან შენმან განასრულენ, მე უცილოვებისა ჩემისაგან ვერა რას შემძლებელ ვარ; თუ რაჲმე არა ჯერ იყოს..., დაწვით და მე შენდობაჲ მომმადლეთ“.

დიდი მოღვაწე სტეფანე ცნობილია აგრეთვე როგორც მაღალნიჭიერად აღმწერი გობრონის ცხოვრებისა.

სარკინოზი მეფე აბულყასიბი, ძე აბულმაჯისა, მფლობელი 60 დიდ-დიდ ქალაქისა და უფალი შვიდთა მეფეთა, არბევს სომხეთის 87 ხევს და მოადგება ყუელისციხეს, რომელშიაც გამაგრებულია გობრონი თავის მოყვასებით. მტერს ციხის საბრძოლად აქვს ფილაკავნები, ხოლო გობრონთან გასამკლავებლად დაზოგვილი აქვს ასი აქლემის საპალნე ისრები და ჰოროლები. ქართველთა ერი მის შიშით შეხიზნულა აქარა-შავშეთს. გობრონი იბრძვის ლომებრ, მაგრამ ბოლოს მარცხდება და იწამება მტერთაგან 914 წელსა, თუ მის ახლო ხანს.

სტეფანეს მომდევნო ეპისკოპოსად ტბეთში იყო იოანე მტბევარი, რომელიც წმიდანად გამოხატულია წერა-კითხვის საზოგ. დიდს კრებულში მე-X საუკუნისა (იხ. ეს სურათი ჩვენს „საუნჯე მეათე საუკ.“-ში, აგრეთვე „შოთა რუსთაველ“-ში, და „საქართველოს ისტორიაში“).

იგი იხსენიება მეათე საუკ. კრებულის (№ 19, გვ. 242) მინაწერში თეოდორესთან ერთად: „ქრისტე, შეიწყალენ ამის წიგნისა მომგებელნი მამფალი მტბევარი იოვანე და მამაჲ თეოდორე ა-ნ“.

მის მიერ შვენიერის ენით დაწერილი საგალობლები პატივად მამამთავრებისა, აგრეთვე ბასილისა, კლიმისა, ქრისტეს შობისა, გრიგოლისა და სხ. შეტანილია ცნობილ მიქელ მოდრეკილის კრებულში.

მის გალობის მცირე ნიმუში:

... იხარებდით ცანი და იშუებდით
ქვეყანაჲ და ზღუაჲ
მკვდართა თვისთა თანა დღეს
ღირსად..
... მოვედ აწ, მონაო სახიერო
და სარწმუნოო მუშაკო
ქრისტეს ვენახისაო,
რამეთუ შენ სიმძიმე დღისაჲ
იტვირთე,
ღირსო, დ მოცემული ტალანტი
აღაორძინე და რომელნი შენდა
მოვიდეს
სიწმიდით, უშურველ ექმენ...

ეს წმ. იოანე მტბევარი 995 წელს უკვე ნაჩვენებია აწყურის მამათმთავრად. ამის შესახებ სახარების წარწერა გვაუწყებს: „ქრისტე, ადიდე იოვანე მამათმთავარი, პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვერელ ეპისკოპოსი... დაიწერა წმ. ესე სახარება საყდარსა შინა ტბეთისასა ქორონიკონსა სიე“ (995 წ.).

ამავე მეათე საუკუნის მეორე ნახევარში ბრწყინავდა ღმერთშემოსილი დავით ტბელისძე. ამან ბერძნულიდან გადმოსთარგმნა რამდენიმე თხზულება. მისი ქართული:

„ტკბილი არს მზე შემდგომად ღრუბლისა და ტკბილ არს არე ზაფხულისაჲ მომასწავებელი. რომელი შემდგომად ზამთრისა სიმძიმისა გამოჩნდების, ტკბილ არს სახილველად თუალთათჳს მყუდროებაჲ და სიკეთე და შეზავებულებაჲ ჰაერისაჲ, და ზღუაჲ განფენილი და ღიმილით ქვათა მათ ზღჳს პირისათა მცემარე შემდგომად ნიავქართა და ღელვათა დაცხრომისა“.

„ბრძანა მოღებად სკარაჲ რკინისაჲ... განართხეს წმიდაჲ სკარასა ზედა“.

„ტაფაკი დიდი აღავსო ფისითა და ცმელითა... პირაღმართ შთაგდება ტაფაკსა“

„საკვირველი საკვირველსა შეუდგა (სასწაული სასწაულს)

„შეაშინებს ლომსა რეკებაჲ ლერწამთაჲ“: ჩვეულებათ არს ფრიადისა სიყვარულისაჲ: ფრიადისაცა. მტრობისა შექმნად“.

„აღდულნა ფოფინებით ვითარცა სიავი, მყოფი სახმილისა მოტყინარესა.ჲ

„უმწყთა ცხენთა უღელსა შებმაჲ“

„ასოეულად განბძაროს“

დასახსოვია მისი ფორმები: „ყვნენ“, „იპოვნენ“, „იპოვნენ ეგევითარინი, რომელნი შემძლებელ იყუნენ სწავლად უმეცართა, და სხ.

დავითის თარგმანი აქა-იქ ძნელ-გასაგებია. ნიმუში:

„ძნელ არს უნაყოფოებაჲ ქვეყანისაჲ დ ნამუშაკევისა წარწყმედაჲ, რომლისა იგი სასოებაჲ ახარებნ მუშაკსა მას, რამეთუ ახლოს არნ საუნჯედ შეკრებასა და ძნელ არს უჭამოჲ სამკალი და მუშაკნი ნაშრომისა ზედა მათსა მჭმუნვარენი და ვითარცა მკუდართა ზედა მსხდომარენი მჭელეულთა მათ ზედა, რომელნი იგი წჳმამან მშვიდმან აღზარდნა და ფიცხელმან დაკაფნა, რომლითა არა განავსნის კელნი თვისნი მომკალმან, არცა მკარნი თვისნი, რომელნი შეჰკრებენ მჭელეულებსა მათსა, არცა კურთხევასა მიემთხვნენ, რომელსა მისცემენ მუშაკთა თანა წარმავალნი“.

ამისთანა სიბნელე ეფთვიმეს თარგმანებში არსად შეგვხვედრია.

თ. ჟორდანია ჰფიქრობს, რომ ტბეთის ეპისკოპოსად იყოო დავითი (იგივე დავით ტბელისძე?), ძმა მიქელ მოდრეკილისა, და ძმა მარიამისა, რომელიც ცოლად ჰყვანდაო ჯორდვანელს, მამას ცნობილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საჭიროა გამოვიდეთ და ერთი მეორეს დაუსაბუთებული და დაუმტკიცებელი ბრალი დავსდოთ?

დ. მ.

სამასწავლებლო ინსტიტუტი ქუთაისში

კავკასიის სამოსწავლო უწყებას განუზრახავს მომავალ სექტემბრიდან თუ არა, მომავალ წლიდან მაინც გახსნას ქუთაისში სამასწავლებლო ინსტიტუტი. ეს განზრახვა მეტად სიმპატიურია, თუ მას საკეთილოდ დაგვირგვინებს სამოსწავლო უწყება. კარგად მომზადებულ მასწავლებელთა სიმცირეს რომ ყველაზე მეტად გრძნობს ჩვენი კურთხეული საქართველო, ეს ყველასათვის ცხადია. ყველგან ჩვენს შეგნებულ საზოგადოებაში გაისმის ხმა: არა გვყავს სალი, თანამედროვე პედაგოგიურის ცოდნით აღჭურვილნი პირნი. მართალი უნდა მოგახსენოთ, ქართველი პედაგოგი, ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნელობით, სანთლით საძებარია ჩვენში.

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ როგორც ძველად ჩვენში, ისე ახლაც გაურბის ახალგაზრდობა პედაგოგიურ მოღვაწეობას. უმთავრეს მიზეზად ეს ჩვენი ახალგაზრდები, პასუხსაგებ, მძიმე მოვალეობას — ასახელებენ. საქმე ის არის, რომ მძიმე მოვალეობა შეასრულოს კაცმა, თორემ მჩატე და ადვილ საქმეს სუსტიც კი გააკეთებს. არა, ეს არ უნდა აშინებდეს ჩვენს ახალგაზრდობას თუ სურთ მრავალტანჯულ სამშობლოს ცოტაოდენი სამსახური გაუწიონ პედაგოგიურ სფეროში, ისინი უნდა დაეწაფონ სალს თანამედროვე პედაგოგიურს ცოდნას და ასეთის განათლებით აღჭურვილებმა ცოტაოდენი წვლილი შეიტანონ ქართულ პედაგოგიკის განვითარებაში: შეადგინონ ქართულ ენაზე სხვა და სხვა საგნის სახელმძღვანელოები, რომელთა სიმცირეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჰგრძნობენ განსაკუთრებით სახალხო და სამოქალაქო სკოლების მასწავლებელნი და მოსწავლენი; ამით ისინი ხელს შეუწყობენ ქართული სკოლის აღორძინებას. სამასწავლებლო ინსტიტუტში პედაგოგიურ საგნებს გარდა, ვრცლად ასწავლიან აგრეთვე საზოგადო განათლების საგნებსა და ენებსაც. ნაკლი ამ სასწავლებელსაც აქვს და რეორგანიზაციას საჭიროებს, მაგრამ რომელი სასწავლებლის ნაკლი შეივსო და რეორგანიზაცია მოხდა, რომ ამ სასწავლებლის ცხოვრებაში მომხდარიყო ასეთი ცვლილება. რაც უნდა იყოს, ინსტიტუტის დაარსებას ქუთაისში მთელი ქუთაისის გუბერნიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი მოამზადებს სამოქალაქო სასწავლებლებისათვის ხეირიან მასწავლებლებს. დღეს, ჩვენს ბევრს სამოქალაქო სასწავლებლებში მასწავლებლობენ არა სპეციალურად მომზადებულნი პირნი, როგორც, მაგალითად, სამასწავლებლო და სასულიერო სემინარიებში, გიმნაზიასა და თვით სამოქალაქო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, რომელთა პედაგოგიური განათლების საზომი არ შეესაბამება სამოქალაქო 6 კლასიანი სასწავლებლის მასწავლებლობისას.

ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობამ დღესვე ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ინსტიტუტის დაარსებას ქუთაისში. იგი უნდა ნივთიერად დაეხმაროს ამ სიმპატიურ სასწავლებელს, ადგილის დათმობით, თუ სხვა რამ სახით! დაარსებისათანავე ქალაქის თვითმმართველობამ უნდა მოსთხოვოს სამოსწავლო უწყებას, რომ ეს ინსტიტუტი მაინც იქნეს საუპირატესო.

მართალია ტფილისში არსებობს სამასწავლებლო ინსტიტუტი, მაგრამ იქ ქართველებს კარი დახშული აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ იგი ქართველებისათვის სრულიად არ არსებობს. მოწაფეთა მიღების დროს 30 კაცში, რომ 3 ქართველი მიიღონ, დიდი ამბავი იქნება; სამშობლო ენის, ლიტერატურის და ისტორიის სწავლებას ტფილისის ინსტიტუტში არ აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული. ვიმეორებ, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ უნდა სწორედ ასე დააყენოს საკითხი: ქუთაისის სამასწავლებლო ინსტიტუტი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის.

არ. რამიშვილი.

მოწერილი ამბავი

სოფ. ქიწნისი (გორის მაზ.). ერთ ქიწნისელ გლეხს შევხვდი ამას წინად, გამოველაპარაკე, ვკითხე სოფლის ჭირ-ვარამი. დაწვრილებით მიამბო ყოველივე... მიამბო, რომ არც ჩვენ ვართ მოკლებული იმ სენს, რომლითაც დღეს საერთოდ არის დაავადმყოფებული ჩვენი სოფელი, ჩვენშიც აქვს ღრმად ფესვი გადგმული შურს, მტრობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ჩვენშიც არის ცრუმორწმუნოება, ავისა და კარგის შეუგნებლობა, მაგრამ როგორც ჩვენში ჩარჩ-ვაჭარნი, მევახშენი დათარეშობენ ისე არც ერთ სოფელში, ვგონებ, არ იქნებაო. სოფელს ჰქონია იჯარით აღებული კნ. ე. ზ. ერისთავის მამული, სამას თუმნად წელიწადში. საქმის მოსაგვარებლად ამორჩეულია ექვსი კაცი. ეს ექვსი კაცი უყოფს მამულს გლეხებს სახნავად, შესამუშავებლად. ჯერ განაწილებაზეა ხოლმე ერთი ოროტრიალი. ზოგს მამული არ მოსწონს, ზოგს ეშორება, ზოგს ნაკლები ხვდება, ზოგს მეტი. დღიურზე გლეხმა უნდა გადაიხადოს სამი მანეთი, მაგრამ, როგორც გადმომცეს, შემუშავება უფრო მეტი უჯდებათ ვიდრე სარფასა ჰხედავენ. საიჯარო გადასახადს წელიწადში რამდენიმეჯერ ჰკრეფენ და აი სწორედ აქ ვარდება ხოლმე გლეხი გაჭირვებაში და აქ ებმება ხოლმე იმ თავ-დაუხწეველ ქსელში, რომელიც მარჯვეთ აქვთ გაბმული წურბელა მევახშეს. გლეხს ფული უჭირს, ვალი უნდა გადაიხადოს და ვის მიადგება კარზე, თუ არ ისევ ამ მევახშეს. სოფელი ნახევრად დავალიანებულია და თუმანში 50 კაპ. იხდის თვეში და განა გასაკვირველია, რომ კალოზევე აუკრიბონ წლის სარჩო-საბადებელი? იქნება იკითხოთ, ნუ თუ ვერ მოუხერხებიათ — ერთი სასოფლო ბანკის დაარსებაო? როგორ არა, სასოფლო ბანკი ახლო ჰქონიათ სოფ. ძევერაში, მეორე ბანკი ს. ტყვიავშიც ყოფილა და კრედიტით აქაურ გლეხებს უსარგებლიათ, მაგრამ კრედიტს ისინი ვერ დაუკმაყოფილებია. რატომ? სამწუხაროდ ეს ჩემმა მობაასე გლეხმა გარკვევით ვერ გადმომცა. გლეხებს აზრადა ჰქონიათ საიჯარო მამულის საკუთრებად შეძენა, მაგრამ მემამულეს დღიური 150 მან. დაუფასებია და მათაც ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ სიძვირისა გამო.

სოფელი ყელამდეა ჩაფლული უვიცობის მორევში. ცრუ-მორწმუნოებას ფართო ადგილი უჭირავს, ერთმანეთის გაუტანლობას, შურს ფართე ასპარეზი აქვს დათმობილი.

დიდს დაღს ასვამს სოფელს უსკოლობაც. ე. ზ. ერისთავისას წინადადება მიუცია გლეხებისთვის — დაგითმობთ მამულს, აგიშენებთ სკოლასო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოგეხსენებათ, სოფელში გველაძუები ბლომად მოიპოვება. — არ გვინდა სკოლა: გაგვიხსნიან, მერმე ჩვენ მოგვაგდებენ, სულით-ხორცამდე ტყავი გაგვძვრებაო — დაძრწიან თურმე ხალხში და სთესენ ბოროტსა და მავნე თესლს. გლეხებიც მათ უჯერებენ და სკოლაზე უარს ამბობენ...

მაგრამ, იმედია, სოფლის გულშემატკივარნი, თუ კი აქ ერთი მაინც მოიპოვება, შეაგნებინებენ, გლეხს სკოლის სარგებლობას.

მოსავალს კარგი პირი უჩანს. პური უკვე გაიჭრა და მალე კალოებზე გაჩაღდება მხიარული „ჰოროველა“... კარგი პირი უჩანს ვენახებსაც. ხილი კი უხეირო ამინდის გამო წახდა და გლეხს შემოსავლის ერთი წყარო ამ წლობით დაეხშო...

სანგანიძე.

ტყიბული. ფრიად სასიამოვნოა, რომ ტყიბულმა ცოტათ მაინც წაიწია წინ გონებრივი განათლების მხრივ. აქ ამას წინად განიზრახეს სამკითხველოს დაარსება; ამის შესახებ უკვე გაიმართა მოლაპარაკება, რომელიც გათავდა ვ. კაპანაძის ამორჩევით. ამ პატივცემულ პირს დაავალა კრებამ შუამდგომლობა ქ. ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წინაშე სამკითხველოს ნებართვის აღების შესახებ. სამკითხველოს თანხის გასაძლიერებლად გაიმართება წარმოდგენა ამთვის 27-ს. თუ ვინმე მოისურვებს ამ კეთილ საქმეს რაიმე დახმარება აღმოაჩინოს, ამ მისამართით მოგვაწოდოს შემოწირულება: Ткибули „Нахшира“ Карлу Георгіевичу Чиракадзе.

კ—ლი ჭირაქაძე.

დუშეთი. ღამე 18 ივლისს გაჰქურდეს დუშეთის კბილის ექიმი-ქალის ვინმე შირინას ოთახი, მის შინ არ ყოფნობის დროს. ბოროტ-მოქმედთ წაუღიათ 260 მანეთამდე ფულად, ხოლო ვერცხლეულობა და სხვა რამ საფასური ხელ უხლებელი აღმოჩნდა. ქუჩაში თავი მოიყარა მრავალმა ხალხმა. ხალხში აქეთ იქით გაისმოდა ერთმანეთის გამაფთხილებელი ხმა: წავიდეთ, მოვშორდეთ არ შემოგვყეფოს ძაღ ოხერმა, „ხლაფოთში“ ირაში ჩაგვაგდოსო. გაუშვეს მაძებარი ძაღლი, რომელიც პოლიციის მოეყვანა დილით. ძაღლი ფანჯრიდან გადმოსვლისათანავე წავიდა ადგილობრივ პოლკის ყაზარმებისკენ, გავიდა ქალაქ გარედ და დაჰკარგა კვალი, ხელ მეორედ დააბრუნეს, შეიყვანეს ოთახში და გაუშვეს; ისევ ფანჯრიდან გადმოხტა და გასწია, მივიდა ყაზარმებთან, შევიდა აფიცერ ჩიპურის მოსამსახურის სამზარეულოში ყაზახ კუზნეცოვთან და გაჩერდა. კუზნეცოვი დაიჭირეს, მას არა აღმოაჩნდარა. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გაანთავისუფლეს.

შეიპყრეს და დუშეთის ციხეში დააპატიმრეს ბ. ქავთაროვი, ბუჩუკური და ორიც სხვა, მათ აღმოაჩნდათ ჩირიკის სამრევლოს წიფორის წმ. გიორგის ეკლესიის ნივთეულობა. ეს ეკლესია ამას წინად გასტეხეს და წაიღეს მრავალი უძველესი და უძვირფასესი ნივთეულობა. ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ და ნივთებიც აღმოაჩინეს. წაღებულ ნივთებში აღმოჩნდა შემდეგი: ბარძიმფეშხუმი, კამარა, ორმოცდა თერთმეტი თასი და ჭიქები ვერცხლისა ხუთი საშუალო ჯვარი ვერცხლისა, ოქროს პატარა სანაწილე, ოქროსავე ძეწკვით წმ. გიორგის ნაწილებით. პატარა ცული ოქროს ვარაყით, უძველესი არაჩვეულებრივი მოყვანილობისა, შიგ გამოქანდაკებულია სხვა და სხვა სურათი: ლომი, ირემი და სხვა. დიდი ჯვარი წმ. გიორგისა, რომელზედაც ზემოხსენებული ოქროს სანაწილე კიდებულა, სიმაღლით სამი არშინია, სიგანე თავის შესაფერი, ორივე მხარეს მრავალი წვრილი ხატია დახატული, მშვენიერის ხატვრობით და წარწერებით. ამის წაღება ხელით ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ ქურდებს ეს უძვირფასესი ნაშთი ლუკმა-ლუკმა ექციათ და ისე წაეღოთ ყაბალახებით.

მოკეთე.

უცხოეთი

სოც.-დემოკრატების ტაქტიკა.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ მეთაურში მსჯელობს ჰოლანდიისა და დანიის პრაქტიკაზე აღძაცენებულ საკითხის, სოციალისტების სამინისტროში მონაწილეობის მიღების შესახებ.

მხოლოდ შვეიცარიასა და საფრანგეთში გადასწყდა ეს საკითხი ფაქტიურად სასურველად. გერმანიაში ამ საკითხის გადაწყვეტა ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორშიაც მესამოცე წლებში პრუსიის ლიბერალები იყვნენ. უკანასკნელთ პარლამენტში უმეტესობა ჰქონდათ, მაგრამ მთავრობის მუშაობაში მონაწილეობაზე არც კი უფიქრნიათ.

შემდეგ გაზეთი გადადის მარქსისტებზე და ამბობს: თავის შეკავებით უკანასკნელნი ვატიკანს დაემზგავსნენ. თავისი ეპისტოლეებით პაპიც ყოველნაირად ცდილობს ეკლესიის შვილნი დაიცვას დანარჩენ ქვეყანასთან დამოკიდებულებისაგან, ოღონდ კი მთელმა სისტემამ გარეგანი გავლენა არ განიცადოს. ამის შედეგზე პაპი არა ზრუნავს, ოღონდ კი „ყორესა“ შიგნით დარჩეს.

ჰოლანდიასა და დანიაში სოციალ-დემოკრატები ყოველნაირად ცდილობენ კაბინეთში მონაწილეობა თავიდან აიცდინონ.

ჰოლანდიაში არჩევნების შემდეგ, როდესაც ს.-დემოკრატებმა და ლიბერალებმა გაიმარჯვეს, დედოფალმა ლიბერალ ბოსს მიანდო კაბინეტის შედგენა; ამ უკანასკნელმა კი ს.-დემოკრატებს სამი სამინისტროს პორტფელი შეაძლია. ს.-დემოკრატების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: სამინისტროში მონაწილეობაზე უარი ვთქვათ. ს.-დ. კლიგენი ცოტა ამაზე ადრე სწერდა რომ, მისი აზრით, საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნებოდა წმინდა ლიბერალურ კაბინეთის შედგენა, რომელიც დაივალებდა საარჩევნო უფლებათა რეფორმას და მოხუცების პენსიის საკითხის განხორციელებას, ს.-დემოკრატია კი დაიცავდა სამინისტროს მემარჯვენეთაგან. ს.-დემოკრატებს კაბინეტში შესვლას ფლიგენი არ ურჩევდა, იმის შიშით, რომ ეს გარემოება პარტიის ერთიანობას დაარღვევდა. თუმცა პარტიას ახალი განხეთქილების შიში არ აქვს, მაგრამ თავის ბანაკში მშვიდობიანობის დაცვა თავის თავად დიდმნიშვნელოვანიაო.

დანიაში საქმე ამგვარ მდგომარეობაშია: ლიბერალურმა, მთავრობის პარტიამ, არჩევნების დროს პარლამენტში რამდენიმე ადგილი დაჰკარგა და ლიბერალურმა სამინისტრომ გადადგომა მოინდომა. ს.-დემოკრატებმა მაშინ მეფეს მიმართეს მოწიწებულს თხოვნით, რათა ლიბერალური მთავრობისათვის ჩაეგონებინა გადადგომის უარის თქმა. ასე, სოციალდემოკრატები სთხოვენ მეფეს: კაბინეტის წასვლა შეაჩეროს — საუცხოვო სურათია! ლიბერალებმა თვით არ მოისურვეს ესა; ხოლო ს.-დემოკრატების მეტი არა დარჩენოდათ რა და განაცხადეს, რომ ისინი თანახმანი არიან მონაწილეობა მიიღონ სამს დემოკრატიულ პარტიის კოალიციაში და ერთს პორტფელს იღებენ. მაშინ ლიბერალებმა უარი სთქვეს ს.-დემოკრატების წინადადებაზე და ამით ისინი უხერხულ მდგომარეობიდან გამოიყვანეს. რადიკალებმა, თავის სურვილის წინააღმდეგ, მმართველობა მიიღეს და ს.-დემოკრატებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს, განუმარტეს რა რადიკალებს, რომ ისინი ძლიერ კმაყოფილნი არიან მომხდარ ამბით, რადგან ს.-დემოკრატების მონაწილეობა ბურჟუაზიულ კაბინეთში პარტიის ცხოვრებაში უთანხმოებას გამოიწვევდაო. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ დასასრულ ამბობს, რომ ს.-დემოკრატების მონაწილეობა მთავრობის საქმეში საჭირბოროტო საკითხად ჯერ არ გამხდარა, მაგრამ ფიქრი ამის შესახებ მეტი არ იქნება, რადგან შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ რთულ პრობლემის საუკეთესო გადაჭრა — მისი გადაწყვეტისაგან გაქცევა იქნეს.

რუსეთი

მაქსიმე გორკის ავათმყოფობა.

მილანიდან მოსკოვში იტყობინებიან, რომ მაქსიმე გორკი სერიოზულად ავად არისო. გორკისათვის სისხლის-ღება დაუწყებინებია. ექიმების რჩევით მას დაუტოვებია კუნძული კაპრი და იტალიის ერთ-ერთ ჩრდილო აგარაკზე იცხოვრებს.

ინოკენტის მიმდევარნი სინოდის სამართლის წინაშე.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ რუსეთში თავი იჩინა ახალმა სარწმუნოებრივმა მიმართულებამ „ინოკენტიევშჩინამ“, რომლის მიმდევარნი ღვთაებრივად სახავდნენ თავიანთ მასწავლებელს ბერს ინოკენტს. ამ საქმის გამოძიება მიენდო მისიონერს პლატონოვს. მან ვრცელი მოხსენება წარადგინა სინოდში. სინოდმა 23 ივლისს ითათბირა ამ საგნის გამო და დაადგინა; ინოკენტის მოძღვრება მწვალებლობად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მისი მიმდევარნი თავის მასწავლებელში სული წმინდასა ხედვენ და ადმერთებენ მას.

რადგანაც ინოკენტმა თავის მოძღვრებაზე უარი სთქვა და შეცდომა აღიარა, ამიტომ სინოდმა სამართლიანად სცნო სასჯელისაგან მისი განთავისუფლება.

კატორღის მცხოვრებნი.

ციხე-საპყრობილეების უმთავრესი სამმართველო შეუდგა რუსეთის კატორღის მდგომარეობას სტატისტიკურის ცნობების დამუშავებას. ეს მასალა საფუძვლად დაედება რუსეთის კატორღის განზრახულ რეფორმის გეგმას. ამ სტატისტიკურის ცნობების მიხედვით 1905 წლამდე კატორღის მცხოვრებთა რიცხვი თითქმის ყოველ წლივ ერთგვარი იყო და 12,00„ არ აღემატებოდა. 1906 წლის დასაწყისში ცნობილ ამბების და შეღავათების წყალობით ეს რიცხვი $6^1/_2$ ათასამდე ჩამოვიდა. 1907 წლის დასაწყისში — უდრიდა, 9,798. ამ წლიდან სარევოლიუციო ხანის ლიკვიდაცია იწყება და ამის გამო კატორღელებთა რიცხვი საოცარის სისწრაფით იზრდება: 1908 წლის დასაწყისში — 16,450, 1909 წ.—23,095, 1910 წ.—28,742, 1911 წ.—22,498 და 1913 წ. დასაწყისში კ—32,752.

ციმბირის ციხეებსა და სამრეწველოებში სულ 8000 კაცია მოთავსებული, $3^1/_2$ ათასი კაცი ამურის რკინის გზის სამუშაოზე იყო გაგზავნილი, 13,000 კაცი ევროპის რუსეთის საკატორღო ციხეებში იმყოფება და 8000 კ—საერთო ციხეებში.

ამ ცნობების მიხედვით სამინისტრო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კატორღელთა ციმბირში გაგზავნის სისტემა ფაქტიურად კარგა ხანია მოისპო, და ამიტო შემოღებულ უნდა იქმნას საკატორღო საპყრობილეებში მოთავსება, სავალდებულო შრომით.

ქალი-ინჟინრები.

პეტერბურგის დედათა უმაღლეს კურსების დირექტორს შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრთა წინაშე, რომ კურს დამთავრებულ ქალებს მიენიჭოს ინჟინერის ხარისხის უფლებანი. სამინისტროები, როგორც ხმები დადის, თანაგრძნობით მოეკიდნენ იმ შუამდგომლობას.

სხვა და სხვა ამბავი

ცნობილი ყაჩაღის ზელიმ-ხანის ოჯახობა.

გაზ. „ტერეკის“ სიტყვით ზელიმხანის ოჯახს ისევ გროზნაში დააბრუნებენ. როდესაც სოფ. „სტარო-იურტის“ მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ ზელიმხანის ოჯახი იქ უნდა დაასახლონ საცხოვრებლად, ერთი ალიაქოთი ასტეხეს და კატეგორიულად განაცხადეს უარი. მათის აზრით, ზელიმხანის ოჯახის ჩასახლებით სოფელს დიდი უბედურება დაატყდება თავს. ყაჩაღი ოჯახობის ნახვას მოინდომებს, მას გამოედევნებიან, შეიქნება სროლა და ბრალიანსაც და უბრალოსაც მოხვდება. „სტარო-იურტელები“ ოლქის უფროსთან წავიდნენ სათხოვნელად, მაგრამ პასუხად უარი მიიღეს, რადგან, ოლქის უფროსის სიტყვით, ზელიმხანის ოჯახს შეუძლიან ამოირჩიოს რომელი ალაგიცა სურს. მაშინ დეპუტაცია ზელიმხანის ცოლთან გაემგზავრა და დიდის თხოვნის შემდეგ დაითანხმა თავის წინადადებაზე ან სამშობლოში წავიდნენ, ან და გროზნაში. მაგრამ სამშობლოში — ვედენის ოლქში — წასვლა შეუძლებელი იყო, რადგან ზელიმხანს ბევრი მოსისხლე მტერი ჰყავს და დღეს შეეშინდა ვაჟებს ამომიწყვეტავენო. ამიტომ 17 ივლისს ზელიმხანის მთელი ოჯახობა გროზნაში დაბრუნდა. პოლიციამ მათ ბინა უშოვნა და პასპორტები მისცა.

საფრანგეთის სამხედრო სამმართველოს დამოუკიდებლობა.

ლილის სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე ერთის უნტერ-ოფიცერისა, რომელიც ქალმა გააბრიყვა და სადარაჯოდან რესტორანში წაიყვანა. 1 კორპუსის უფროსმა სასამართლოს თავმჯდომარეს მოსთხოვა, რომ ჯარისკაცისათვის უდიდესი სასჯელი მიესაჯა, თანაც დასძინა: თუ სამხედრო სასამართლო მას გაამართლებს, ჩემის ნებით ორ თვეს ჩავსვამ სატუსაღოში. დამცველმა პროტესტი განაცხადა კორპუსის უფროსის მუქარის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, ბრალდებულის დასჯის

თორნიკისა, იოანესი (წმ. ეფთვიმეს მამისა), ბერაისა. ჩვენ დავით მტბევარი არსად შეგვხვედრია და ჯერ ნაადრევად მიგვაჩნია იმის თქმა, რომ დავით ტბელისძე ოდესმე ყოფილიყოს ეპისკოპოსად ტბეთისა. სხვა არა იყოს რა, თითქმის არც ერთი **დიდი** მთარგმნელთაგანი მე-X—XI საუკ. ეპისკოპოსად არ ყოფილა.

მე-XI საუკუნეში იყო აგრეთვე ქავთარ ტბელი, ხოლო 1233 წელს მწერალი აბუსერიძე ტბელი. რა სულიერი თუ ხორციელი დამოკიდებულება ჰქონდათ ყველა ამ ტბელებს, ჯერჯერობით ძნელია თქმა. ყოვლად შესანიშნავი ისტორიული წერილი აბუსერიძე ტბელისა იხ. თ. ჟორდანიას ქრ. 2, გვ. III—123.

1028 წელს მტბევრად იყო დიდებული საბა, ხოლო 1080—1091 წ. ანტონი.

ტბეთის სვეტის ამბავი დაკავშირებულია ამ საბას სახელად.

საქართველოს გაერთიანებას დიდ მოწინააღმდეგეობას უწევდნენ ქართველი მებატონენი, უამრავნი ერისთავნი. ბაგრატ მე-III ხომ აფხაზეთის შემოერთების (985 წ.) შემდეგ დაბრუნდა ქართლს, „მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ თითოეულად გაეგებდეს საქმეთა ქართლისათა“. მათ „იწინამძღვრეს ქავთარ **ტბელი**, მოეგებნენ მეფეს ბრძოლად... მოღრისს“, მაგრამ ბაგრატმა შემუსრა იგინი..., ურჩნი თვისნი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“.

საქართველოს გაყოფა-განაწილების მოტრფიალენი დაშინდნენ, ჩაჩუმდნენ, ხოლო არა ხანგრძლივად.

1021 წელს საქართველოს შემოება ბერძენთ იმპერატ. ვასილი, სწორედ ის, რომლის ტახტი ამას წინად ბარდა სკლიაროსის გათხრებისაგან იხსნეს ქართველებმა თორნიკეს სარდლობით. მისმა ლაშქარმა ბაგრატის ძეს გიორგი მეფეს მოუკლა და დაუსახიჩრა 200,000 ქვეშევრდომი, მას და მის მეზობელ მთავრებს წაართვა 40-ზე მეტი ციხე და მათგან ბერძნებმა შეადგინეს ერთი საგამგეობო ანუ საკაპატანო.

ასე უღვთოდ და წინდაუხედავად ეპყრობოდა იმპერატორი საქართველოსა და სომხეთს მაშინ, როდესაც ჯერ არაბები არ დაემარცხებინა, როდესაც საქრისტიანო აღმოსავლეთს უჩნდებოდა ახალი დაუძინებელი მტერი, თურქობა. საჭირო იყო საქრისტიანო ძალების შეერთება საბრძოლად აღმოსავლეთის ველურობასთან, ბერძენთ მეფე კი სწორედ ამ ძალებს თავის თავხედურ მოქმედებით ჰფლანგავდა და მით მტერს უკაფავდა გზას, რომ ადრე და ადვილად დაენგრია თვით მსოფლიო იმპერიაც... მისვე პოლიტიკას განაგრძობდა მისი ძმაც, იმპერატორი კონსტანტინე. 1028 წელს ამანაც გამოუსია ლაშქარი ბაგრატ მე-IV წინააღმდეგ. ეს მაშინ სულ 9 წლის ყმაწვილი იყო. ზოგ ქართველისთვის ესეთი მოსვლა სანუკარი გახდა. ეგონათ, ძალას, უფლებას მოვიპოვებთო, მღვრიე წყალში ბლომა თევზს დავიჭერთო. უღალატეს ბაგრატს და მიემხრნენ იმპერატორს ვაჩე ვარჯისძე, იოანე ბანელი, ტაოს ციხოვანი თუ უციხო აზნაურები; შავშეთის ერისთავმა იმპერატორს დაუთმო ციხე წეფთისა, ფალელმა ციხე გარყრილობისა, არჯევან ჭლოლისძემაც უღალატა ბაგრატს.

მოღალატეთა მისადევარში დაშთა ერთად ერთი ნათელი პირი თავის მცირე-რიცხოვან მომხრეებით. ეს იყო უკვდავი მამულიშვილი, გმირი **საბა მტბევარი.**

ტბეთის შესავალში არის ბუნებითვე სვეტის მზგავსად აღზიდული ბორცვი. საბა ეპისკოპოსმა, ნახა რა, რომ სამშობლოს ფრიად უჭირს, რომ მტერს სურს მონობის უღელი დაადვას საქართველოს, ფიცხლავ აგო მაგარი ციხე ხსენებულს ბორცვზე, უწოდა მას **სვეტი,** გამაგრდა შიგ, მიიმხრო ეზრა ანჩელიც, შემოიკრიბა შავშეთი და სასტიკი ბრძოლა აუტეხა მოსულ ბერძნებს. შავშელი აზნაურებიც მასთან ერთად იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

მტრის ლაშქარი გულმოდგინედ ეომებოდა სვეტს, მაგრამ ამაოდ: იდგა სვეტი თავისუფლებისა შეურყევლად, მტკიცე ანდამანტივით. მოიცალნენ მტრები ამაო ბრძოლით და სცადეს „ლიქნითა“ და „საფასეთა ქადებით“ მოესყიდათ მეციხოვნენი. მაგრამ მოღალატე არ გამოჩნდა საბას რაზმში. ყველანი, პირიქით, სიმარჯვესა და სიქველეს იმატებდნენ, ამხნევებდნენ-რა ერთმანეთს სიტყვებით:

„ნუცამა შეგვიტყუებან ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გვირგვინი ახოვნებისა, სიკვდილად გავსწიროთ თავნი თავისნი!“

ასეთმა სიმტკიცემ, თავდადებულობამ სწორედ სასწაული მოახდინა: მტერი მოშორდა თავისუფლების სვეტს და მალე მთლად გავიდა საქართველოდან, რომლის უსამართლოდ მჩაგრავი იმპერატორიც ამავე ხანს ჩაბარდა ძამა-პაპათა საუკუნო სასუფეველსა...

და ასრე, ნათლით მოსილ საბამ „დაიმკვიდრა ქვეყანაჲ შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ მეფისათვის... და ღმერთმაც პატივსცა და ვერ წარუღეს ქვეყანაჲ მტერთა.“

დაშთა სვეტიცა თავისუფალი, საბას დროშამაც იწყო ფრიალი.

დღეს-და?

სვეტი მოფუშულია, ტაძარი გაუქმებული, ერი გარდაქმნილი; იქაურ ქალაქთა შინა უკვე „დაემკვიდრნენ ურჩხულნი“, მამა-პაპათა ქალაქთა შინა აღმოსცენდნენ ეკალთა ხენი, ძნელოვანნი მათნი იქმნენ საყოფელად ურჩხულთა და საქვიდრებელად სირთა და ძეითხვივნენ ეშმაკნი და ვირ-დევნი... მუნ გახისვენეიან ვირდევნი, მუნ მართვენი ისხნენ გძღარობთა, მუნ მეკრბენ ხადირნი (ესაია, 33, 13—15; იერ. 50, 39).

ნუ თუ ამისთანა უდაბნოდ უნდა ქცეულიყო აღმოსავლეთი საქართველოც, თუ ოსმალთ დაემყარებინათ თვისი მფლობელობა? ასე რომ ყოფილიყო, ნუ თუ აქაც აღარ უნდა აღორძინებულიყვნენ იგეთი დამამშვენებელნი გვარ-ტომისა, ვით გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, თარხნიშვილი, პეტრიაშვილი, გაბრიელი და მრ. სხვანი?

ნუ თუ მამა-პაპათა ღვაწლმა, დიდებამ შთამომავლობას არ უნდა განუცხოველოს მამა-პაპური სული? ნუ თუ კლარჯეთ-ჭანეთობამ აღარ უნდა მოიხედოს თვის აღმოსავლეთ ღვიძლ მოძმეთადმი, რომ დაინახოს, რაოდენად შორს გაუსწრეს ამათ დასავლეთელ ქართველობას ყოველგვარ საკულტურო საწადმართო საქმეში, რახან შეინარჩუნეს უკეთესნი ანდერძნი გმირულად გავლილ საუკუნეთა?

ზ. ჯანაშვილი.

ბრძანებაა. სამხედრო სასამართლომ 5 ხმით ორის წინააღმდეგ ბრალდებული გაამართლა.

ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. საგენტოსაგან)

26 ივლისი.

სტამბოლი. 15.000 ჯარის-კაცი მუშაობს ადრიანოპოლისა და განსაკუთრებით კირკილისეს გასამაგრებლად. უკანასკნელი სრულიად მოკლებულია თავდაცვის შეძლებას. ადრიანოპოლის მეციხოვნეთა სარდლად დაინიშნა ენვერ-ბეი, კირკილისეში—გალიპოლის მეციხოვნეთა სარდლად ნამყოფი, ფეხტი-ბეი, ფრაკიაში განუწყვეტლი იგზავნება სამხედრო სურსათი. ვაჭართ წინადადება მიეცათ გაგზავნონ ფქვილი და სხვა სურსათი ადრიანოპოლში. ფრაკიიდან გამოქცეულნი ქრისტიანენი მოწმობენ ოსმალთა სიმკაცრეს. მთავრობა ჰგრძნობს, რომ ეს ხმები აღშფოთებს მსოფლიო პატრიარქსა და ამიტომ არწმუნებს პატრიარქს არ მიჰმართოს დიდ სახელმწიფოთ პროტესტით. ამიტომაც შინაგან საქმეთა მინისტრმა თალაათ-ბეიმ დაარწმუნა პატრიარქი, ოსმალებს ბრძანება აქვთ ქრისტიანებს მფარველობა გაუწიონო. ცნობებით მუსტაფა-ფაშაში დაანგრიეს კათოლიკე დედათა მონასტერი.

სტამბოლი. დიდ სახელმწიფოთა ელჩებმა წარუდგინეს დიდ ვეზირს ერთი და იმავე შინაარსის მოხსენება შესახებ ადრიანოპოლისა და წინადადებას აძლევენ პატივი სცეს ლონდონის ტრაქტატს, უმთავრესად ენოს-მიდიას შუა მდებარე საზღვრისას. მოხსენება თავდება განცხადებით, რომ სახელმწიფონი თანახმანი არიან მიიღონ მხედველობაში საზღვრის იმ გვარად შესწორება, როგორიც ოსმალეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია. შემდეგ დიდმა ვეზირმა მოახდინა კრება მინისტრთა საბჭოსი.

ლონდონი. „ვესტრინსტერ-გაზეტ“-ი განმარტავს ბუქარესტის ხელშეკრულებას, ჰკიცხავს სერბიისა და საბერძნეთის სიძუნწეს, რომლის გამო ბულგარეთი, ოსმალეთთან ომის ხელმძღვანელი, მოკლებულია თითქმის მთელ დაპყრობილ მხარეს. ერთად-ერთი იმედი არის ხელშეკრულობის გაბათილებისათვის ავსტრიისა და რუსეთის თანხმობა.

ბუქარესტი. საზავო კრების მეორე სხდომაზე ბერძნებმა და ბულგარელებმა წარმოადგინეს წერილობითი საბუთი თანხმობაში მოსვლისა. ასეთივე საბუთი შემოიტანეს სერბიელებმა და ბულგარელებმა.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იუწყება, თუ რა სიმკაცრეს სჩადიან ოსმალები სოფელ დრანჩევოში, ლევკეში, ევიცეში, ვარახანიაში და მუსტაფა ფაშაში. ბულგარეთის მთავრობამ აუწყა სახელმწიფოთ: რადგანაც მოკავშირეთა შორის ზავი ჩამოვარდა, იგი დაითხოვს ჯარს, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი უქადის ბულგარეთსა. ბულგარეთი იმედოვნებს, სახელმწიფონი არ მისცემენ უფლებას ოსმალეთს უპატივცემულოდ მოეპყრას ლონდონის დადგენილებას.

ბელგრადი. ზავის ჩამოგდებამ ყველანი დააკმაყოფილა. ბულგარელებისა და სერბიელების დამოუკიდებლად მოლაპარაკება თავმდებია მომავალში მათ შორის კარგი განწყობილებისა.

ათინა. მეფემ ვენიზელოს მაცხოვრის დიდი ჯვარი უბოძა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 ივლისი.

უცხოეთი.

თავრიზი. მიღებულია ბრძანება მეჯლისის არჩევნებისათვის. მცხოვრებნი ძალიან გულგრილად ეკიდებიან არჩევნებს. რამაზანის გამო მეჩეთში აღნიშნავენ მეჯლისის უნაყოფობასა, ემყარებიან ყოფილ ორი მეჯლისის მოქმედებას.

თეირანი. 25 ივლის ქალაქში მოხდა სროლა ჟანდარმთა და ბახტიართა შორის, რომელმაც 3 საათი გასტანა. როდესაც ჟანდარმები გამაგრდნენ, ძველიც ინსტრუქტორის თანაშემწე ილიმსტელი შევიდა ბახტიართა წინამძღოლის სადგომში და წინადადება მისცა ბახტიარებს იარაღი აეყარათ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი ვიქნებით ზარბაზნები ვიხმაროთო. ბახტიარებმა აღუთქვეს ქუჩაში უიარაღოთ გამოსვლა.

ბარცელონა. კათოლიკე მუშათა კავშირმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა, დაიჭირეს ბევრი სინდიკალისტები. გამოცხადებულია საგანგებო წესები.

პარიზი. პარლამენტის სხდომები შესწყდა.

ლიმა. მიწის ძვრის გამო პერუში დანგრეულია კარაბელი და კვიკაჩი. ათასობით დარჩნენ მცხოვრებელნი უსახლკაროდ.

ბარცელონა. დატუსაღებულია 23 გაფიცული მუშა და 18 ანარქისტი. გუბერნატორმა ბრძანება გასცა მუშათა კავშირის დასაკეტად. გაფიცულებმა აიძულეს საელექტრონო სადგურის მუშები გაფიცვისათვის.

ბუდაპეშტი. სამხედრო სასამართლომ გაამართლა პარლამენტის მცველთა უფროსი გეგე, რომელმაც პარლამენტში მომხდარ არეულობის დროს მოქმედებით რამდენჯერმე შეურაცხჰყო დეპუტატი ხედერვარი.

რომი. სპეციაში, იარაღის საწყობში გამოსცადეს წყალ ქვეშ მოცურავე ნავების მაშველი მანქანა, რომელიც ინჟინერმა ვირჯინიო კავალინიმ გამოიგონა. მანქანა ნავის ზემოდ იდგმის და თუ ნავი იღუპება, მანქანა დაიტევს ყველა მეზღვაურ ნავში მჯდომთ და წყალზემოდ ამოტივტივდება.

რუსეთი

პეტერბურგი. ბეჭვდითი საქმის კომიტეტმა დააკავა № 12 „რაბოჩაია პრავდასი“ და № 14 „ჟივაია ჟიზნის“.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკმა გაიღო 8 ნახევ. მილიონი მან. იმპერიის სხვა და სხვა ადგილას ელევატორების მოსაწყობად.

ჰელსინგფორსი, სეიმში არჩევნების შედეგი ასეთია: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 287,757 ხმა; ძველითაობის ფინებმა—140,303 ხმა; ახალგაზდა ფინებმა—96.281 ხმა; შვედებმა 20,223 ხმა; აგრარიებმა—52.250 ხმა; ქრისტიანე მუშებმა: 4.690 ხმა; გარეულებმა—1.331 ხმა.

კუპიანსკი. დილის ხუთ საათზე, რამოდენიმე წამის გინმავლობაში მიწა იძვროდა, რასაც მიწის ხმაურობა და ქანება მოჰყვა.

ატკარსკი. მაზრის ჭირის მხრივ საშიშრად გამოცხადების გამო, დაიწყო მოქმედება სასანიტარო—აღმასრულებელმა კომისიამ.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ მთელის ბათომის ქართველობის მხრით შემდეგ პირთ, რომელთაც გარდა ზნეობრივ დახმარებისა, ფულად შემოსწირეს ბათომის ქართულ ტაძრის დასამთავრებლად:

ნოე გლახუნის ძემ სიხარულიძემ ორასი მანეთი, ქ-ნ ანასტასია მებუკისამ დიდი ზნეობრივი დახმარება და ფულად ერთი თუმანი და მისმა შვილმა მ. მერვინოვმა ხუთი მანეთი, პავლე ჯღარკავამ ორი მანეთი, სარდიონ სიგუამ 3 მ., ბესარიონ ჩხეიძემ 3 მ., მელიქსედეგ კალანდაძემ 1 მ., გაბრიელ კინწურაშვილმა 1 მან., შერმანდი სიმონიშვილმა 1 მ., ვალერიან სამსონაძე ათი შაური, ივანე ხოსის ძემ ქორჩილავამ ოცდახუთი მ. და კიდევ დაგვპირდა სამი ამდენის შემოწირვას, ეფრემ ბერძნიშვილმა 1 მ., ნესტორ ნადირაშვილმა 1 მან., კიმოთე კაჭარავამ 1 მ., სილიბისტრო გორგოშიამ 1 მ., ექვთიმე კინწურაშვილმა 1 მ., ნესტორ მასხარაშვილმა 1 მ, რემანოზ გვალიამ ათი შაური, ბესარიონ გველეტიანმა 50 კ., ნ. საშკოვმა ათი შაური, ალექსანდრე ჩაგონავამ ათი შაური, ნოე თედორაძემ 1 მ., მელიტონ ლორიამ 1 მ., პანტელიმონ გოგელიამ 1 მან., ალია დოლიძემ 1 მ., ვარლამ გობეჩიამ ათი შაური.

ბორჯომში ილია კირილეს ძემ გეგენავამ ხუთი მანეთი, მილოსი გოგუაძემ 1 მ., მოსე გიორგაძემ 2 მ. ელისო წილოსანმა 1 მ., ილიკო რამიშვილმა 1 მ., ივანე ვასაძემ 1 მან., სერგო ელიზბარის ძე რამიშვილი დაგვპირდა ფულის შეგროვებას და თვითონ შემოსწირა ორი მანეთი.

გარდა იმისა, რაც კომიტეტს შეუგროვებია ამ ტაძრის ასაშენებლად, ჩემ მიერ შეგროვებულია ფულად 26 სექტემბრიდან 1910 წ. დღემდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ათი ათას (10,000 მ.) მანეთზე მეტი და აგრეთვე ასაშენებელი მასალაც.

კომიტეტის მონდობილობით წევრი კომიტეტის მღვდელი **მიხეილ ჩხიკვაძე.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გორიჯვრის ეკლესიის კრებულმა და მნათემ ღრმა მადლობა განვუცხადოთ გორის მოქალაქეს ლაზარე მამინოვს, რომელმაც გულსმოდგინება გამოიჩინა და ზემოდ დასახელებულს ეკლესიას შესწირა ორწყობიანი ჭაღი ღირებული ცხრა თუმნად.

მღვდ. ბაგრ. ბარნაბიშვილი.

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს: 1) სონა ყარსელაშვილისამ: ა) რკინის სავარცხელი თავის ბუდიანათ, ბ) თმის გასაყოფი ჩხირი, გ) ერთი წყვილი ახალციხური წინდა (ქრელი), დ) ქართული თეთრი ფული (და ე) ხელთნაწერი წიგნაკი (თავი და ბოლო აკლია.) 2) მარიამ ყარსელაშვილისამ — სტამბოლური სურა. 3) მარიამ მიქელაძისამ ა) ძველებური სატევარი და ა) ქაშანური სურა. 4) საბა ევსტაფიევმა — ორი შავი ძველი ფული. 5) ალექსანდრე მესხიძემ—ა) ასხმული მძივების ქისა და ბ) თათრული თეთრი ფული. 6) ნინო ზედგინიძისამ ოქრომკედით ნაქარგი სარტყელი. 7) ნინო ხმალაძისამ ა) ჯავახური წინდები და ბ) ნაქსოვი ქისა მძივებისა. 8) ნატალია რუხაძისამ—თათრული შავი ფული.

ყველა ზევით მოხსენებული ნივთი გადმოსცა ჩვენს საზოგადოებას გიორგი ხმალაძემ.

9) გიორგი ხმალაძემ - ოთხი გაქვავებული ლოკოკინა და გაქვავებული ხის ნატეხი. 10) სოლომონ დავითის ძემ ლეონიძემ—ა) სოფელ კაცხში ნაპოვნი, ქამრის ბალთა ბრინჯაოსი და ბ) სპილენძის პაწაწინა ხატი ღვთიშობლისა. 11) ალექსანდრე დავითის ძემ დემეტრაშვილმა: ა) ათი თეთრი ფული და ექვსი შავი ფული ბ) „სახარება“ 1818 წ. მხედრულად ნაბეჭდი, გ) ლათინური ლოცვანი ქართული ასოებით ნაწერი და დ) პატარა ლოცვანი, მხედრული ხელნაწერი. 12) ავქსენტი გიორგის ძემ ხუხუნაიშვილმა: ა) ორი რგოლი ბრინჯაოსი (ერთი გატეხილი) სახეებიანი, სოფელ ვანის (იმერეთში) ციხის ნანგრევებში ნაპოვნი, ბ) ათი შავი და 17 თეთრი სხვადასხვა ფული და გ) ფოტოგრაფიული სურათი 13) ქარსაულიძემ—შავი ფული. 14) ლეონ მელიქსეტის ძემ მელიქსეტბეგოვმა—ა) ერთი კაჟიანი თოფი ქართული და ერთი ჯაზაირი

საზოგადოება გულითად მადლობას სწირავს შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3. **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ს. ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ

მცხეთაზე: № 65, **საგარეუბნო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგარ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**- პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ექიმი ა. ზ. მიძელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ჩუღურეთის შესახვ. № 5, 1-ლ კომერც. სასწავლებლის ზემოდ, ეკატერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ: **სიმწიფის მოწმობაზე**, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **ყველა სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწაფისა**; საკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. სკოლის მასწავლებლის მოწმობისათვის. მისამართი: მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს. საღამოთი 5—7 საათ. 1400

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6-7 საათამდე.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

გონორრეის (სუსუნაკის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**
აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საათფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.
Метцль 2238. 1038

კინემატოგრაფია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ბანკის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Банк. ул. № 13
1009

— ✦ გამოსულია და იყიდება ✦ —
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მემამულება“**, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ოქროს მედალი ოქროს მედალი

Золотая медаль.
Золотая медаль.
ПОХВАЛЬНЫЙ ОТЗЫВЪ за ВСЕРОССИЙСКУЮ ВЫСТАВКУ
ВЪ Н.НОВГОРОДѢ въ 1896 г.

შპალიერი
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
GRAND-PRIX **ვლადიმერ ალპატოვისა**
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისთანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

СТОЛОВОЕ ВИНО
Юбилейное
300
т/д. БР. СЕСІЕВЫ и Ко
ВЪ ТИФЛИСЪ
1078

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სკუმბრია.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა |ქიტკა|
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები**, სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი საყმაწვილო წიგნები:

ნახატ. საყმაწ. მოთხრ. გამ. „ნაკად.“	30 კ.	უცხო თაიგული,	10 „
ორი ზღაპარი, ძმ. გრიმებისა	10 „	ქაჯანა,	5 „
ორი მხატვარი, თარგ. დ. ავალიანისა	15 „	ღვთის წყალობა, გ. წერეთლისა	20 „
ოქროს თავთავი, შ. მღვიმელისა	15 „	ყვავილთა შორის	45 „
ორი ზღაპარი, უალდისა	5 „	შალვას თავგადასავალი,	15 „
პაწია და ბუნგლია,	25 „	ცვარი, შ მღვიმელისა	20 „
რობინზონ კრუზე,	30 „	ძუნწი და ნატვრა, მისივე	10 „
სკრუჯი და მარლეი,	25 „	წაღებიანი კატა, დასურათებული	50 „
სამი ცელქი, შ. მღვიმელისა	15 „	ხუმარა სპილოები,	20 „
სამი საყმ. ამბავი ვაჟა-ფშაველასი	15 „	ჯუზეპე გარიბალდი	10 „
საყმაწ. ლექსები. დ. თომაშვილისა	10 „	ჯიანეტა, პატარა მოქანდაკის დღიური	30 „
საკვირველი ხე, ვ. ბარნოვისა	3 „	პალიასტომის ტბა, ნინოშვილისა	5 „
სამშობლ. ბუნებ. სარკე, ი. ელიაშვილ.	40 „	გოგია უიშვილი,	5 „
სვიის გვირგვინ. ,	15 „	განკარგულება,	5 „
სამი მოთხრობა, ს. ყიფიანისა	5 „	იავნანამ რა ქნა?	5 „
საბავშვო თეატრი, „ჯეჯილის“ გამ.	10 „	თავდადებულნი ქართველნი,	7 „
ტომის თავგადასავალი,	50 „	საყმაწ. მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა	30 „
		ერეკლე მეფე და ინგილო ქალი,	5 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

მიტროფანე ლაღიძის და ამხ.
ფრიად სასიამოვნო სასმელი და ჯანმრთელობისათვის მარგებელი საამური გემოსი და სურნელების



სამკურნალო ხილეული და მინერალური წყალი
მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად განწმენდილ მასალებისაგან, გამოხდილ და ნადუღი წყალით
გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
რადგანაც ჩვენი ქარხნის წყალის ნაცვლად ხშირად **დაბალ ღირსების წყალს აწვდიან** პატივცემულ საზოგადოებას და აგრეთვე გავრცელებულია ჩვენი ეტიკეტის მიმსგავსებანია უმორჩილესად ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, **ყურადღება მიაქციოს ბოთლებზე ჩვენს ეტიკეტს ქარხნის ნიშნით და აგრეთვე თავსაცობს ზედ-წარწერით;**
„М. ЛАГИДЗЕ“.
ქარხნები: **ტფილისში, გოლოვ. პროსპ., № 6, ტელეფონი № 411.**
ქუთაისში, პუშკინის ქუჩა, № 5, ტელეფონი № 151.
1214

საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის
„პატოკსან“.
„პატოკსან“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე:
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსან“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.